## III სემესტრი

1. შეარჩიეთ პირის კარიბჭის განმარტების სწორი ვარიანტი:
   A. იგი ლოყებს, კბილებსა და ალვეოლას შორის არსებული ნაპრალის ფორმის სივრცეა;
   B. იგი ლოყებს, სასის ფრთებსა და ალვეოლას შორის არსებული სამკუთხა ფორმის სივრცეა;
   C. იგი კბილებს, სასასა და ხახის რკალებს შორის არსებული სივრცეა;
   D. იგი ენის ლაგამსა და ლატერალურ ჭიმებს შორის არსებული ნაპრალია.

2. იპოვე მცდარი დებულება:
   A. გვირგვინის სიმრუდის ნიშანი ლატერალური საჭრელების სასისკენა ზედაპირზე არსებული მინანქრის წვეთია;
   B. გვირგვინის ნიშანი ფრონტალური კბილების ვესტიბულური და ორალური ზედაპირების გამობურცულობას აღნიშნავს;
   C. გვირგვინის ნიშანი, საღეჭ კბილებში ყველაზე მრუდე ბორცვის ნიშანია;
   D. გვირგვინის ნიშანი, კბილების გვირგვინის ყელიდან ბორცვის მწვერვალამდე არსებული მანძილია.

3. გაიხსენეთ სტომატოლოგის კაბინეტში საოპერაციო ზონები და ივარაუდეთ ცაცია სტომატოლოგისთვის საათის ციფერბლატის რომელ უბანს შეესაბამება „ინსტრუმენტების გადაცემის ზონა“:
   A. 12-3 სთ;
   B. 9-12 სთ;
   C. 8-10 სთ;
   D. 5-8 სთ.

## IV სემესტრი

1. გაიხსენეთ კბილის პულპის ანთების მკურნალობის რა მეთოდია „პირდაპირი დაფარვა“?
   A. პულპის რქის საპროექციოდ სანეკროტიზაციო პასტის მოთავსება;
   B. კარიესული ღრუს ფსკერზე ვერცხლის ქლორჰექსიდინის პასტის მოთავსება;
   C. კბილის ღრუს ფსკერზე კალციუმის ჰიდროქსიდის სარჩულის მოთავსება;
   D. პულპის რქაზე პარაფორმალდეჰადის პასტის მოთავსება.

2. გაიხსენეთ ენდოდონტიურ პრაქტიკაში გამოყენებული საიზოლაციო საშუალებები და ივარაუდეთ, რომელი მათგანი შეიცავს ტრიკალციუმ სილიკატს?
   A. მინერალტრიოქსიდ აგრეგატი;
   B. კალციუმის ჰიდროქსიდი;
   C. პარაფორმალდეჰადის მჟავა;
   D. იონომერული ცემენტი.

3. გაიხსენეთ ენდოდონტიური ინსტრუმენტის H-ფაილის სტრუქტურა და შეარჩიეთ მისი დამზადების სწორი მეთოდი:
   A. დაგრეხილია 4 კვეთიანი მავთულისგან;
   B. დაგრეხილია 3 კვეთიანი მავთულისგან;
   C. გამოჩარხულია 2 კვეთიანი მავთულისგან;
   D. გამოჩარხულია კონუსური ფორმის მეტალის ღერძისგან.

## VI სემესტრი

1. გაიხსენეთ კბილის მაგარი ქსოვილის შენება და ივარაუდეთ რა ეწოდება დენტინის მილაკების სითხეს:
   A. მილაკის ლიმფა;
   B. მილაკის შრატი;
   C. მილაკის ლიქვორი;
   D. მილაკის სუსპენზია.

2. გულდასმით წაიკითხეთ მოცემულობა და გამოტოვებულ სივრცეში ჩასვით სწორი სიტყვები:
   კომპოზიციური საბჟენი მასალის ძირითადი სტრუქტურა -------------------------------- , ორგანული და არაორგანული კომპონენტების შემაკავშირებელ აგენტს კი ------------ ჰქვია.

3. გაიხსენეთ ფოტოპოლიმერიზატორების მუშაობის თავისებურება, ივარაუდეთ მისი სიმძლავრე:
   A. 300 ვ/სმ$^2$;
   B. 30 მგვ/სმ$^2$;
   C. 30 ვ/სმ$^2$;
   D. 300 მლვ/სმ$^2$;

## VII სემესტრი

1. გაიხსენეთ ენდოდონტიური ინსტრუმენტების სტანდარტიზაცია და იპოვეთ სწორი კომბინაცია:

   ა. №15 a. შავი
   ბ. №25 b. მწვანე
   გ. №35 c. ლურჯი
   დ. №40 d. იისფერი

   A. ა. a;
   B. ბ. c;
   C. გ. b;
   D. დ. d.

2. იპოვეთ მცდარი მტკიცებულება:
   A. ჰედსტრომ ფაილი მასტერ ფაილზე 1 ზომით მეტი უნდა იყოს;
   B. ჰედსტრომ ფაილი მასტერ ფაილზე 2 ზომით ნაკლები უნდა იყოს;
   C. ჰედსტრომ ფაილი მასტერ ფაილზე 2 ზომით მეტი უნდა იყოს;
   D. ჰედსტრომ ფაილი მასტერ ფაილის შესაბამისი ზომის უნდა იყოს.

3. გაიხსენეთ გუტა-პერჩას წკირის უარყოფითი მხარე:
   A. კბილის ფერის შეცვლის უნარი;
   B. სტერილიზაციის შეუძლებლობა;
   C. ადვილად გაწოვადობა;
   D. ტოქსიკურობა.

**X სემესტრი**

**კომუნიკაციის უნარები**

**(კლინიკური სიტუაციის მოდელირება)**

**სტანდარტიზებული პაციენტის სცენარი №1**

„ექიმო, თქვენმა კოლეგამ 1 თვის წინ კბილი დამიბჟინა (ამომიღო „ნერვი“), მას შემდეგ კბილი მტკივა გაუსაძლისად. მსურს გამომიკვლიოთ და გამაცნოთ ჩემი მდგომარეობის მიზეზები და გამაცნოთ ამ სიტუაციის გაუმჯობესების გზები“

- „ექიმი“ (სტუდენტი) ვალდებულია პასუხი გასცეს „პაციენტის“ ყველა კითხვას და მისცეს საჭირო განმარტება.

**სტანდარტიზებული პაციენტის სცენარი №2**

„ექიმო, 1 წელია რაც ჩავიტარე მეტალოკერამიკული გვირგვინებით 10 კბილის რესტავრაცია. მას შემდეგ ჩემს ღრძილებს „ვეღარ ვცნობ“. ფერი იცვალა, სისხლმდენია, პერიოდულად მტკივა კიდეც. გთხოვთ, გამომიკვლიოთ, დამისვათ დიაგნოზი რა მჭირს და დამისახოთ სიტუაციის გამოსწორების გეგმა“

- „ექიმი“ (სტუდენტი) ვალდებულია პასუხი გასცეს „პაციენტის“ ყველა კითხვას და მისცეს საჭირო განმარტება.

**სტანდარტიზებული პაციენტის სცენარი №3**

„ექიმო, მე მყავს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე შვილი, იგი 21 წლისაა და ეტლით გადაადგილდება, სჭირდება პირის ღრუს პროფესიული ჰიგიენა. მითხარით რა პირობები გაქვთ კლინიკაში ამგვარ პირთა მისაღებად და გამაცანით მკურნალობის გეგმა, გამოსავალი და შესაძლო გართულების რისკი“

- „ექიმი“ (სტუდენტი) ვალდებულია გაეცნოს პაციენტის შესაძლებლობების შეზღუდვის მიზეზებს და „მშობელს“ კარგად აუხსნას ამგვარ პირთა სტომატოლოგიური მომსახურების თავისებურებები, ლოჯისტიკური საკითხები, გააცნოს მკურნალობის გეგმა, გამოსავალი და გათვალოს გართულების რისკები.

## X სემესტრი

## კლინიკური ოპერაციული ოდონტოლოგია და ენდოდონტია

## (ინტეგრირებული კურსი)

1. ივარაუდეთ რა ტიპის ელვარება უნდა მიეცეს კომპოზიტით რესტავრირებული კბილის ზედაპირს:
   A. „სველი“ სიპრიალე;
   B. ოპალესცენციური ბზინვარება;
   C. „მშრალი“ სიპრიალე;
   D. ფლუორესცენციის ეფექტი.

2. იპოვეთ მცდარი მტკიცებულება:
   A. ქვედა პირველ მოლარს ენისკენა მედიალურ ძირითად ბორცვზე დამატებითი ბორცვი აღენიშნება;
   B. ზედა პირველ მოლარს სასისკენა ძირითად მედიალურ ბორცვზე დამატებითი ბორცვი აღენიშნება;
   C. ქვედა მეორე პრემოლარი სამბორცვიანია;
   D. ლატერალურ საჭრელს სასისკენა ზედაპირზე დამატებითი ბორცვი აქვს.

3. გამოიცანით არხშიდა ირიგაციის პროცესში ნატრიუმის ჰიდროქლორიდის მოქმედების მექანიზმის სწორი ვარიანტი:
   A. თავისუფალი ჟანგბადის წარმოქმნა;
   B. ნატრიუმის ქლორიდის წარმოქმნა;
   C. ჰიპოტონური ხსნარის წარმოქმნა;
   D. აიროვანი ქლორის გამოყოფა.

4. რომელი დაავადების დიაგნოზის დასასმელადაა აუცილებელი რენტგენოგრაფიული გამოკვლევა:
   A. ქრონიკული პერიოდონტიტის;
   B. მწვავე პერიოდონტიტის;
   C. ზედაპირული კარიესის;
   D. სოლისებური დეფექტის.